<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს კანონში **“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ”** (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24/06/2005, სარეგისტრაციო კოდი: 300.310.000.05.001.001.914) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1.მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^2 პუნქტი:

„3^2) ნეშტის დაკრძალვასა და მასთან დაკავშირებული საქმიანობების ლიცენზია.“

2. 26^6 - ე მუხლს შემდეგ დაემატოს, შემდეგი შინაარსის 26^7-ე მუხლი:

,,მუხლი 26^7. ნეშტის დაკრძალვასა და მასთან დაკავშირებული საქმიანობებზე ლიცენზიის გაცემის წესი და პირობები.

ნეშტის დაკრძალვასა და მასთან დაკავშირებული საქმიანობების ლიცენზიის მოპოვების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**